ხელშეკრულება N26

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თელავი 20 ოქტომბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლილი ხაჩიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე ,,ანა მაგრაქველიძე" (შემდგომში - მიმწოდებელი), ს/კ 60001144331, მის: ქ. თბილისი, გლდანი მე-8მკ-რ/ნი მე-18 კოპრ. ბ#29, E-mail: pormat.office@gmail.com, ტელ: 595 50 32 93 წარმოდგენილი ანა მაგრაქველიძე-ს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები ***(საინფორმაციო პლაკატები „მოქალაქეობა" VII-VIII კლასი CPV22140000)*** შეძენა, ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 140,00 (ასორმოცი)ლარს და 00 თეთრი,

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი, საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს, ხელშეკრულების დადებიდან 10(ათი) კალენდარული

დღის ვადაში, შემსყიდველის მისამართზე ქ. თელავი, სოფ. ფშაველი

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის

შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 5%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის-20 ოქტომბერი და მოქმედებს 2020 წლის 30 ნოემბრისჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის	
სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა	ი/მ „ანა მაგრაქველიძე“
	მის. თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ, კორპ. 18, ბ. 29
ს/კ 231263771	ს/კ 60001144331
სს.“საქართველოს ბანკი“	საბანკო რეკვიზიტები:
ბანკისკოდი: BAGAGE22	მომსახურე ბანკი: ს/ს„ლიბერთი ბანკი“
	ბანკისკოდი: LBRTGE22
დირექტორი: /ლილი ხაჩიძე/	/ა GE18LB0112111042345000

დანართი

ხელშეკრულების საგნის აღწერა

#	საქონლის დასახელება	CPV კოდი	განზომილება	კომპლ	ერთეულის ფასი (ლარი)	საქონლის ფასი (ლარი)
1	*საინფორმაციო პლაკატები „მოქალაქეობა“ VII-VIII კლასი*	**22140000**	ცალი	**1**	**140**	**140**
	სულ					140

შემსყიდველი:

შემსყიდველი:
სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის
სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა

ს/კ 231263771
სს.“საქართველოს ბანკი“
ბანკისკოდი: BAGAGE22

დირექტორი: /ლილი ხაჩიძე/

მიმწოდებელი:

მიმწოდებელი:

ი/მ „ანა მაგრაქველიძე“
მის. თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ, კორპ. 18, ბ. 29
ს/კ 60001144331
საბანკო რეკვიზიტები:
მომსახურე ბანკი: ს/ს„ლიბერთი ბანკი“
ბანკისკოდი: LBRTGE22
/ა GE18LB0112111042345000

Ana Magrakvelidze
Digitally signed by Ana Magrakvelidze
Date: 2020.10.20 13:45:34 +03'00'

მიღება -ჩაბარების აქტი

ქ. თელავი 20 ოქტომბერი 2020 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლა „შემსყიდველი“- წარმოდგენელი მისი დირექტორის ლილი ხაჩიძის, სახით და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი“ - ინდ. მეწარმე „ანა მაგრაქველიძე“ (ს/კ 60001144331) მის. ქ. თბილისი, გლდანი, მე-8 მ/რ, კორპ.18, ბინა29, ტელ: 595 503293 წარმოდგენელი ანა მაგრაქველიძის სახით, ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ შესრულდა 2020 წლის 20ოქტომბერს „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის გაფორმებული # 26 ხელშეკრულების პირობები, ამავე ხელშეკრულების დანართის შესაბამისად.

კერძოდ: „მიმწოდებელმა“ მიაწოდა, ხოლო „შემსყიდველმა“ ჩაიბარა შემდეგი დასახელების საქონელი

#	საქონლის დასახელება	CPV კოდი	განზომილება	კომპლ	ერთეულის ფასი (ლარი)	საქონლის ფასი (ლარი)
1	*საინფორმაციო პლაკატები „მოქალაქეობა“ VII-VIII კლასი*	**22140000**	ცალი	**1**	**140**	**140**
	სულ					140

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ

„შემსყიდველი“

_____ / ლილი ხაჩიძე/

დირექტორი :

„მიმწოდებელი“

ინდ.მეწარმე

ა. მაგრაქველიძე Ana Magrakvelidze Digitally signed by Ana Magrakvelidze Date: 2020.10.20 13:46:09 +03'00'